ლპობადი პაპიზმი

ფოტო საიტიდან metro.co.uk

აგვისტოს თვის იტალიური საინფორმაციო საშუალებები (**Corriere della Sera**) იუწყებიან, რომ 2008წ. 25 აგვისტოს ტალიაში იგეგმება სილამაზის კონკურსის ჩატარება მონაზონ ქალებს შორის. გაზეთი Times იუწყება, რომ იტალიელმა „მღვდელმა“ პადრე ანტონიო რუნჯიმ (Antonio Rungi) გამოაცხადა სილამაზის კონკურსი კათოლიკე მონაზონ ქალთა შორის დასახელებით „და იტალია 2008“ (Sister Italia 2008). პადრე ანტონიო ვარაუდობს, რომ კონკურსში მონაწილეობას მიიღებს, მინიმუმ, 1000 მონაზონი. მსგავსი კონკურსი იტალიაში პირველად ტარდება, მაგრამ პადრე იმედოვნებს, რომ ღონისძიება ყოველწლიური გახდება. პადრე თავის სილამაზის იდეალად მიიჩნევს მსახიობ სოფი ლორენს. კონკურსის პირობების მიხედვით, მონაწილე უნდა იყოს 18-დან 40 წლამდე, ამასთან კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არა მხოლოდ იტალიელებს. მონაზვნებს აფრიკიდან, ლათინური არგენტინიდან, რომლებიც იმყოფებიან იტალიაში, შეუძლიათ შეიტანონ განაცხადები. ადგილობრივი მასმედიის წარმომადგენლებს პადრე ანტონიომ განუცხადა: „ნუთუ გგონიათ, რომ ყველა მონაზონი მოხუცი და მოღუშულია? ეს ასე არ არის. კათოლიკე დებს შორის არიან, მაგალითად, ბრაზილიელები, ხოლო ისინი ყველაზე ლამაზი ქალები არიან“. ვარაუდობენ, რომ კონკურსის შედეგებს სექტემბრის ბოლოსთვის გამოაცხადებენ. (http://artemovsk.in

2008 წლის 27 აგვისტოს სხვა წყაროები იუწყებიან, რომ იტალიაში ეძებენ ლამაზ მონაზონ ქალს. კონკურსის პირობებით, კონკურსანტებს ორგანიზატორებისთვის ინტერნეტით თავისი ფოტო უნდა გაეგზავნათ. ფოტოზე თავდაბურულნი იქნებიან ისინი თუ არა, ეს თავად მონაზვნებმა უნდა გადაწყვიტონ. ამას გარდა, მათ უნდა გაეგზავნათ მოკლე მოთხრობა თავისი ცხოვრების, თავისი გატაცებების შესახებ. რეგისტრაციის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ინტერნეტში ხმის მიცემა, რომლის შედეგების მიხედვითაც უნდა გარკვეულიყო „მისს მონაზონი 2008“.

თუმცა მოგვიანებით პადრე ანტონიომ უარი თქვა კონკურსის ჩატარებაზე. მან რეიტერის სააგანტოსთვის ინტერვიუში იგანაცხადა, რომ ხელმძღანელობამ მას უბრალოდ ვერ გაუგო. ამ კონკურსით მას მხოლოდ ის უნდოდა, რომ დაემსხვრი წარმოდგენა, თითქოს მონაზონები მხოლოდ პირქუში ბებრები არიან. „დღეს არავინ არ ამბობს, რომ მონაზონი არ შეიძლება იყოს ლამაზი, მაგრამ მე ვფიქრობდი უფრო დასრულებულ რამეზე“. პადრეს განცხადებით, კონკურსის იდეა თავად მონაზვნებმა მიაწოდეს მას. პადრე ანტონიოს ეკუთვნის ფრთოვანი ფრაზა, რომელიც მან გაზეთ Corriere della Sera–სთვის მიცემულ ინტერვიუში წარმოთქვა: „მონაზონები – პირველ ყოვლისა, ქალები არიან, ხოლო სილამაზე, ღვთის წყალობაა“, რომ „მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მთელი მსოფლიოს მონაზონებს, რომელთაც საზოგადოება ხშირად საკმარისად არ აფასებს.“.

ფოტო საიტიდან gizmag.com.

გაზეთი Times იუწყება, რომ ანტონიო რუნჯი ცნობილი პიროვნებაა. თავის დროზე მან სახელი იმით გაითქვა, რომ ნეაპოლის დამსვენებლებისთვის მესებს პირდაპირ პლიაჟებზე უტარებდა. 2008 წლის 7 აგვისტოს საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ იტალიის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა თავისი რწმენის პოპულარიზაციისთვის უპრეცენდენტო ნაბიჯი გადადგეს. ადრიატიკის სანაპიროს ერთ-ერთ პლიაჟზე მათ გასაბერი 100 ფუტის სიგრძის „ტაძარი“ დადგეს.

ტაძარში ჩატარდება მესები და გალობა. „იქ იქნება 4 ან 5 ადამიანი, რომლებიც დაუკრავენ მუსიკას და იგალობებნ ღვთის შესახებ“, ამბობს ჩიარა ფიჩი კათოლიკური ჯგუფიდან «Sentinelli del Matti-

no». „პლიაჟ-მონასტრის კონცეფცია – ეს არის ის, რასაც დააფასებენ დამსვენებლები და თავად ღვთისმსახურნი“, ამბობს პადრე ანტონიო რუნჯი. http://www.internovosti.ru.

* * *

საინფორმაციო სააგენტო BBC იუწყება, რომ კანადის ქალაქ ტორონტოში კვირას ჩატარდა ცერემონია, რომლის დროსაც სასულიერო დასში ხელი დაასხეს ქალებს. ცერემონიას ატარებდა და ხელდასხმა აღასრულა ეპისკოპოსმა ქალმა, პატრიცია ფრესენმა, რომელიც არის ართ-ერთი გამოჩენილი ფიგურა და წარმომადგენელი ორგანიზაციისა Womenpriests (ქალი-მღვდლები) და რომელიც იბრძვის კათოლიკურ ეკლესიაში ქალთა სასულიერო დასში ხელდასხმისათვის. თავად ფრესენი ეპისკოპოსის დასში ხელდასხმულ იქნა 2003 წელს ესპანეთში. ვატიკანის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ აღიარებენ ამ ხელდასხმას, მაგრამ ორგანიზაცია Womenpriests–ის წევრები თვლიან, რომ ისინი თავს კათოლიკური ეკლესიის სრულუფლებიან წევრებად მიიჩნევენ, რადგან ისინი მოქმედი ეპისკოპოსის მიერ იქნენ ხელდასხმული სასულიერო დასში.

ჩვენი მხრიდან აღვნიშნავთ, რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ რატომ უკვირთ კათოლიკებს, რომ მონაზვნობა პაპისტების საკრებულოში კარგავს პოპულარობას. სააგენტო BBC-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ვატიკანმა გვაცნობა, რომ კათოლიკე მონაზონ მამაკაცთა და მონაზონ ქალთა რაოდენობა მსოფლიოში სწრაფი ტემპებით მცირდება 2005 წლიდან 2006 წლის ჩათვლით იგი 10%-ით შემცირდა.

სტატისტიკა გამოქვეყნდა ვატიკანის ოფიციალური გაზეთის Osservatore Romano-ის ბოლო გვერდზე. ამ იფორმაციიდან ჩანს, რომ სულ მსოფლიოში მონაზონთა ორდენების წევრთა საერთო რაოდენობა 945 210 ადამიანს შეადგენს. მათი უმრავლესობა ქალია – 753 400. კაცებია 191 810, მათ შორის 136 171-მა დადო მონაზონთა აღთქმა, ხოლო 532 – დიაკონია.

როგორც კორესპონდენტები აღნიშნავენ, კათოლიკური ეკლესიის მონაზონთა ორდენების წევრთა რიცხოვნობა ყველა ბოლო წლის განმავლობაში განუხრელად კლებულობს. პაპ იოანე პავლეს მმართველობის პერიოდში მსოფლიოში მათი რაოდენობა მეოთხედით შემცირდა.

რომში BBC-ის კორესპონდენტ დევიდ უილის აზრით, ახალმა ციფრებმა პონტიფიკალის (ბენედიქტე XVI-ავტ) შეშფოთება გამოიწვია. ისედაც ცნობილია, რომ სასულიერო დასი რომის ეკლესიაში ბერდება და მცირდება; მაგრამ ახალი ჩავარდნა, კორესპონდენტის სიტყვებით, მნიშვნელოვანია თვით ამ ფონზეც. როგორც ჩანს, მონაზვნები კვდებიან ან უარს ამბობენ თავის აღთქმაზე, ხოლო მათი შემცვლელი ხშირად არავინ არის, ამბობს კორესპონდენტი.

ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ რომის ეკლესიის შინაგანი დეგრადაციის მიზეზი თვით მათ მწვალებლობლურ სარწმუნოებაში, პაპიზმშია. ამიტომაც ცდილობს რომის ეკლესია თავისი ფარგლები გააფართოვოს აღმოსავლეთით, განსაკუთრებით მართლმადიდებლურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც ცოცხალი სარწმუნოების მიმდევართა რიცხვი მატულობს, ისევე როგორც სასულიერო დასისა და მონაზვნებისა. სწორედ მათ ხარჯზე და აგრესიული პროზელიტიზმის წყალობით სურს ვატიკანს მაცოცხლებელი სისხილი გადაისხას თავის სულიერად და ფიზიკურად ლპობად სხეულში, რომელიც დროებით გაუხანგრძლივებს მას სიცოცხლეს.